

უკ

ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ინსტიტუტისა და ქართულ სამართლის სისტემაში მისი დამკვიდრების შესახებ

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატია ეძღვნება ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ინსტიტუტს და მისი ფორმირების საკითხებს ქართულ სამართლის სისტემაში.

ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის, როგორც ჩვეულებრივი ხელმოწერის ელექტრონული ანალოგის და ელექტრონული დოკუმენტის აუცილებელი რეკვიზიტის, შემოღება და გავრცელება სამოქალაქო ბრუნვაში განაპირობა საინფორმაციო ტექნოლოგიების მძლავრმა განვითარებამ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. მან სათავე დაუდო ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, ე.წ. ელექტრონულ-ციფრულ გარიგებებს და ელექტრონულ ციფრულ კომერციას, ელექტრონულ ანგარიშსწორებას, რაც ამ ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება. ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნებიან და თან სდევნენ აღნიშნულ პროცესებს, საჭიროებენ სამართლებრივ რეგლამენტაციას როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. იგი თანამედროვე სამართლის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა.

ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის საერთაშორისო სამართლის წყაროებისა და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის შესახებ სხვადასხვა ქვეყნების, (მათ შორის საქართველოს) საბაზო კანონების, კანონპროექტების და სხვა სამართლებრივი აქტების გაცნობისა და შედარების საფუძველზე ავტორი გადმოგვცემს ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის არსს, მის დანიშნულებას, სამართლებრივ სტატუსს, განმარტავს შესაბამის ტერმინოლოგიას, აყალიბებს ჩვეულებრივი ხელმოწერისა და ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

ავტორის აზრით, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ინსტიტუტი საინფორმაციო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც ქართულ სამართლის სისტემაში ფორმირების პროცესშია და მას უნდა დაეთმოს ქართველ სამართალმცოდნეთა, კერძოდ, საინფორმაციო სამართლის სპეციალისტ-მკვლევართა სათანადო ყურადღება. ამ მხრივ სტატია წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას, შესწავლილ იქნას ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა, როგორც იურიდიული კატეგორია და მისი სამართლებრივი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ინსტიტუტი, საინფორმაციო სამართალი, საინფორმაციო სამართლის ინსტიტუტები.

იურიდიული ენციკლოპედიის განმარტებით "ხელმოწერა (ინგ. signature, caption) (ხელმოწერის უფლება) - სახელმწიფო ორგანოების და სხვა ორგანიზაციების მიერ მიღებულ დოკუმენტებზე თანამდებობის პირთა ხელის მოწერის უფლებამოსილება..." უკანასკნელ ხანს ხელმოწერას ელექტრონული ანალოგი, ელექტრონულ-ციფრული

ხელმოწერა (ეცხ) გაუჩნდა. მისი შემოღება და გავრცელება სამოქალაქო ბრუნვაში განაპირობა საინფორმაციო ტექნოლოგიების მძლავრმა განვითარებამ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, რამაც სათავე დაუდო ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, ე.წ. ელექტრონულ-ციფრულ გარიგებებსა და ელექტრონულ-ციფრულ კომერციას, აგრეთვე ელექტრონულ ანგარიშსწორებას, რაც ამ ტექნოლოგიების, უმეტესწილად გლობალური საკომუნიკაციო ქსელის - ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება.

ეცხ ელექტრონული დოკუმენტის დაშიფვრის საშუალებაა, რომელიც საკმაო ხარისხით იცავს ელექტრონულ დოკუმენტს გაყალბებისაგან (მასში არასანქცირებული ცვლილებების შეტანისაგან) და იძლევა მისი შემდგენლის (ემიტენტის) იდენტიფიკაციის საშუალებას. ეცხ-ს საფუძვლად უმთავრესად კრიპტოგრაფიული ალგორითმები (დიფი-ჰელმანის მეთოდი, ელ-გამალის ალგორითმი...) დაედო. მისი ტექნიკურ-მათემატიკური საკითხები სწორედ ამ მეცნიერების შესწავლის საგანია. ამასთან პრაქტიკაში ციფრული ხელმოწერის შემოღებამ განაპირობა მის გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საფუძვლების შექმნის აუცილებლობაც და საინფორმაციო სამართლის სპეციალისტთა და კანონმდებელთა ყურადღება მიიპყრო.

ეცხ-ის კრიპტოგრაფიული გაგება განსხვავდება მისი იურიდიული გაგებისაგან. ეცხ, როგორც იურიდიული კატეგორია, გულისხმობს იმას, რომ მისი ნიშნები განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია სამართლის ნორმებში. იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა ეცხ-ის სამართლებრივი ინსტიტუტის ცნება. იგი იმ იურიდიული ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც ეცხ-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. ეცხ-ის საყოველთაო გავრცელებულობის გამო, ასეთი იურიდიული ნორმები, ბუნებრივია, უნდა შეიქმნას როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. მათი ფორმირება თანამედროვე საინფორმაციო სამართლის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა.

ეცხ-ის საერთაშორისო სამართლებრივ რეგულირებაზე მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები - გაერო, ევროპის საბჭო, ევროპარლამენტი. მათ მიერ მიღებულ დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია გაეროს საერთაშორისო კომერციის კომისიის (UNCITRAL) მიერ მიღებული სანიმუშო კანონები "ელექტრონული კომერციის შესახებ" (1996 წლის 16 დეკემბერი) და "ელექტრონული ხელმოწერების შესახებ" (2001 წლის 5 ივლისი) და ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივები "ელექტრონული ხელმოწერის შესახებ" (1999 წლის 13 დეკემბერი # 1999/93/EC) და "ელექტრონული კომერციის შესახებ" (2000 წლის 8 ივნისი # 2000/31/EC). აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ ეცხ-ის საერთაშორისო სამართლის წყაროებს, მათი დანიშნულებაა მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა და რეკომენდაციების მიცემა ეროვნულ კანონმდებელთათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაში, რათა გათვალისწინებულ იქნას შემუშავებული საერთაშორისო აქტების დებულებანი, ნორმატივები და სტანდარტები კანონმდებლობათა უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის მიზნით.

პირველი კანონები ეცხ-ის შესახებ გაჩნდნენ აშშ-ის ცალკეულ შტატებში (კალიფორნია და მასაჩუსეტსი - 1995წ., იუტა და ფლორიდა - 1996წ.), ასევე იტალიაში (1997წ.). აშშ-ის ფედერალური კანონი ციფრული ხელმოწერის შესახებ ე.წ. E-SIGN Act (Electronic Signatures in Global and National Commerce), მიღებულ იქნა აშშ-ის კონგრესის მიერ 2000 წლის 24 იანვარს, ხოლო ძალაში შევიდა 2000 წლის ოქტომბრიდან.

კანონები ეცხ-ის შესახებ მიღებულია ინგლისში, გერმანიაში, პოლონეთში, ინდონეზიაში. ამჟამად ეცხ-ს იურიდიულად აღიარებს ევროკავშირის ყველა ქვეყანა. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ანალოგიური კანონები არსებობს ესტონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში. მოლდოვაში ეცხ-სთან დაკავშირებული ურთიერთობები რე-

გულირდება არა სპეციალური კანონით, არამედ კანონით "ინფორმატიკის შესახებ". უზ-ბეკეტში მომზადებულია და მეორე მოსმენით მიღებულია კანონპროექტი სახელწოდებით "ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ". იგივე სახელწოდებით მომზადებულია კანონპროექტი აზერბაიჯანშიც, უკრაინის ანალოგიური კანონი მიღებული იქნა გასული წლის ივნისში, ხოლო ძალაში შევიდა 2004 წლის იანვრიდან..

საკმაოდ სრულყოფილია რუსეთის ფედერაციის ის ნორმატიული ბაზა, რაც ეცხ-სთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. ეცხ-ის გამოყენება აქ პირველად სანქციონირებულ იქნა ფედერალური კანონით "ინფორმაციის, ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ" (1995წ. 20 თებერვალი) და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსით (1996 წლის 26 იანვარი).

"ინფორმაციის, ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ" რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონის მიღებით ეცხ გამოცხადდა ელექტრონული დოკუმენტის აუცილებელ რეკვიზიტად. ამ კანონის მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ იმ დოკუმენტის იურიდიული ძალა, რომელიც ინახება, მუშავდება და გადაიცემა ავტომატიზირებული საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო სისტემებით, შეიძლება დადასტურდეს ეცხ-ით.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის (*Письменная форма сделки*) მე-2 პუნქტის მიხედვით: "Использование при совершении сделок факсимильного воспроизведения подписи с помощью средств механического или иного копирования, **электронно-цифровой подписи** допускается в случаях и в порядке, предусмотренных законом, иными правовыми актами или соглашением сторон".

2001 წლის 26 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიერ მოწონებულ, ხოლო 2002 წლის 10 იანვარს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ იქნა სპეციალური ფედერალური კანონი "ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ". რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, განსაზღვრავს ხელმომწერის უფლებებსა და მოვალეობებს, ხელმოწერის დადასტურების ტექნოლოგიას.

ეცხ-ის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციის მიზნით მიღებულ იქნა ორი სახელმწიფო სტანდარტი, რომლებიც ადგენენ ეცხ-ის შექმნისა და შემოწმების ტექნიკურ მოთხოვნებს (გამოყენებულ კრიპტოგრაფიულ ალგორითმებს). ეს სტანდარტებია: ГОСТ Р 34.11.-94 «Информационные технологии. Криптографическая защита информации. Функция хеширования და ГОСТ Р 34.10.-94 «Информационные технологии. Криптографическая защита информации. Процедура выработки и проверки электронной цифровой подписи на базе криптографического алгоритма».

როგორც ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, ეცხ-ის ინსტიტუტი უკვე არსებობს აშშ-ის, ევროპისა და დსთ-ს ბევრი ქვეყნის სამართლის სისტემებში, რაც შეეხება საქართველოს, აქ იგი მხოლოდ ფორმირების პროცესშია. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის მცირე ნორმატიული ბაზა, რომელიც უკვე შექმნილია ან იქმნება ეცხ-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაციისათვის, კერძოდ, საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულია საბაზო კანონპროექტი "ელექტრონულ-ციფრული დოკუმენტის, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის, ელექტრონულ-ციფრული გარიგებისა და ელექტრონულ-ციფრული კომერციის შესახებ" და მასთან დაკავშირებული კანონპროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კანონის შეუსრულებლობისა და არასათანადო შესრულებისათვის. აქვე უნდა დასახელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენ-

ტის 2003 წლის 12 ივნისის ბრძანება #135 "საქართველოს საბანკო სისტემაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS) უქაღალდო ტექნოლოგიაზე გადაყვანის შესახებ" და თანდართული დებულებები "საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ და დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) შესახებ". ეს უკანასკნელი ამჟამად მოქმედი ერთადერთი ნორმატიული აქტია, რომლის არსებობაც საქართველოს საბანკო სისტემაში ეცხ-ის ფართო გამოყენებითა და შესაბამისი კანონის არარსებობითაა განპირობებული.

ეცხ-ის ინსტიტუტი თანამედროვე საინფორმაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია და ჩვენი აზრით, მას უნდა დაეთმოს ქართველ სამართალმცოდნეთა სათანადო ყურადღება. ეცხ-სთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემატიკა საკმაოდ რთული და მრავალმხრივია და შეუძლებელია ერთ სტატიაში მისი თავმოყრა და სრულყოფილი განხილვა. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ პირველ ცდას, განმარტებულ და შესწავლილ იქნას ეცხ, როგორც იურიდიული კატეგორია, მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და მისი ძირითადი სამართლებრივი ასპექტები.

ეცხ-ის ზემოთმოყვანილი საერთაშორისო წყაროებისა და სხვადასხვა ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) კანონებისა და კანონპროექტების გაცნობის შემდეგ შესაძლებელია ეცხ-ის არსში გარკვევა (სტატიაში გამოყენებულია ეცხ-ის შესახებ საქართველოს კანონპროექტის ტერმინოლოგია - *ავტ. შენიშვნა*).

ამ მიზნით, ვინაიდან ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა ცალსახად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს (ელდოკუმენტს), მიზანშეწონილად მიგვაჩნია ელექტრონული დოკუმენტის განმარტება.

ელექტრონული დოკუმენტის ჩვეულებრივი (ქაღალდის) დოკუმენტისაგან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს არა მისი შინაარსი (ამ მხრივ ისინი ერთმანეთის მსგავსია, რადგან ორივე მათგანი გვაწვდის რაღაც ინფორმაციას), არამედ ფორმა. ის იქმნება მხოლოდ ელექტრონული ტექნიკის (უმთავრესად, კომპიუტერის) საშუალებით, მისი შინაარსი დაფიქსირებულია და ინახება ელექტრონულ მატარებელზე (კომპიუტერის მეხსიერება, დისკეტა, ოპტიკური დისკები და მათი სხვა თანამედროვე ანალოგები), ამასთან მისი გავრცელება შესაძლებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ლოკალური და გლობალური ქსელების) საშუალებით და მისი შინაარსი ხელმისაწვდომი (კითხვადი) ხდება ასევე ელექტრონული ტექნიკის საშუალებებით. ელექტრონულ დოკუმენტად დოკუმენტის აღქმისათვის აუცილებელია იგი შეიცავდეს მისი, როგორც დოკუმენტის იდენტიფიცირებისათვის საჭირო რეკვიზიტებს. ერთ-ერთ ასეთ რეკვიზიტთაგანს წარმოადგენს სწორედ ეცხ.

ეცხ-ს შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, ეცხ-ის გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ეცხ-ით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა პირმა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და მისი მეშვეობით განახორციელოს მიმოწერა, გარიგებები, ანგარიშსწორება და სხვა ნებისმიერი ქმედება. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა აწესებს ერთგვარ შეზღუდვებს ეცხ-ის გამოყენებაში. მაგალითად, უკრაინის კანონი "ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ" კრძალავს ელდოკუმენტების გამოყენებას მემკვიდრეობაზე უფლების გაფორმებისას ან იმ შემთხვევებში, როცა დოკუმენტი შეიძლება შექმნილი იყოს მხოლოდ ერთ ეგზემპლარად. აკრძალულია აგრეთვე ციფრული ხელმოწერის გამოყენება ანდერძში, ასევე შვილად აყვანის დოკუმენტებში.

ეცხ-ით სარგებლობისათვის ეცხ-ით მოსარგებლე პირს უნდა გააჩნდეს ელხელმოწერის მოქმედი სერთიფიკატი, რომელსაც გასცემს ამისათვის უფლებამოსილი და კანონ-

ნით განსაზღვრული იურიდიული პირი (საქართველოს კანონპროექტის მიხედვით - მომსახურების გამწევი ცენტრი), რომლითაც მას მინიჭებული აქვს ეცხ-ის ე.წ. პირადი და საჯარო გასაღებების წყვილი.

ეცხ-ის პირადი გასაღები ესაა საიდუმლო კოდი ანუ სიმბოლოთა უნიკალური თანმიმდევრობა, რომელიც გამოიყენება ეცხ-ით მოსარგებლე პირის მიერ ეცხ-ის შესაქმნელად და ცნობილია მხოლოდ მისთვის. ეცხ-ის საჯარო გასაღებიც სიმბოლოთა უნიკალური თანმიმდევრობაა, რომელიც ეცხ-ით დამოწმებული ელდოკუმენტის ყველა პოტენციური ადრესატისათვისაა ცნობილი და რომლის დანიშნულებაა ეცხ-ის უტყუარობის შემოწმება. პირადი და საჯარო გასაღებების წყვილის შექმნა და/ან გამოყენება ხდება სპეციალური ელექტრონულ-ციფრული ტექნოლოგიებით (ელინსტრუმენტარით), რომელთა სანდოობა განსაზღვრულია კანონით.

ელხელმოწერით მოსარგებლე პირი ახორციელებს ელდოკუმენტის დამოწმებას, ელდოკუმენტის ადრესატი ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარე კი ელხელმოწერით მოსარგებლე საჯარო გასაღებისა და ელინსტრუმენტარით საშუალებით ახდენს ვერიფიკაციას (შემოწმებას). დადებითი ვერიფიცირების დროს ცალსახად დგინდება ელექტრონული დოკუმენტის ელხელმოწერით დამოწმებლის ვინაობა და დასტურდება, რომ დამოწმებისას მან გამოიყენა მართებული პირადი გასაღები, აგრეთვე გაირკვა, რომ დამოწმების შემდეგ ელდოკუმენტი და მისი რეკვიზიტები არ შეცვლილა.

ზემოთთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეცხ ელექტრონული დოკუმენტის რეკვიზიტია, რომელიც მიღებულია კრიპტოგრაფიული საშუალებების (ეცხ-ის პირადი გასაღების) გამოყენებით ელდოკუმენტის ინფორმაციის გარდაქმნით, თან ახლავს მას და შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის უტყუარობისა და მთლიანობის, აგრეთვე ეცხ-ის მფლობელის დადგენა. იგი იქმნება ეცხ-ით მოსარგებლე პირის მიერ ელდოკუმენტის დამოწმებისას.

ჩვენი აზრით, ელექტრონული ხელმოწერის ყველაზე სრულყოფილა დეფინიცია მოყვანილია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივაში "ელექტრონული ხელმოწერის შესახებ", რომლის თანახმადაც: "ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს ინფორმაციას ელექტრონული ფორმით, რომელიც თან ახლავს ან ლოგიკურადაა დაკავშირებული სხვა ელექტრონულ ინფორმაციასთან და წარმოადგენს ავტენტიფიკაციის საშუალებას". იქვე განმარტებულია უმაღლესი კატეგორიის ე.წ. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერაც: "კვალიფიცირებულ ელექტრონულ ხელმოწერად მიიჩნევა ისეთი ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) ცალსახად (უნიკალურად) არის დაკავშირებული ხელმოწერ პირთან; ბ) გამოდგება ხელმოწერი პირის იდენტიფიკატორად; გ) შექმნილია იმ საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ხელმოწერი პირის ერთპიროვნული კონტროლის ქვეშაა მოქცეული; დ) შესაბამის ინფორმაციასთან ისეა დაკავშირებული, რომ შეიძლება დადგენილი იქნეს მისი ნებისმიერი შემდგომი ცვლილება."

აღსანიშნავია, რომ არსებობს ელექტრონული დოკუმენტის ავტორობის დადგენის სხვა ისეთი ტექნიკური საშუალებებიც, როგორებიცაა პაროლები, აგრეთვე ე. წ. PIN (personal identification number) კოდები დაცული სისტემების მომხმარებლების ავტომატური კონტროლისათვის, მაგრამ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე მეტი გავრცელება სწორედ ელექტრონულმა ხელმოწერებმა ჰპოვა.

არსებობს აგრეთვე პირის ელექტრონული იდენტიფიკაციის ტექნიკური შესაძლებლობები მისი თითის დაქტილოსკოპიური ანაბეჭდებით, ხმის ნიმუშის, თვალის ბადურის სტრუქტურის და სხვ. მიხედვით, რომელთა შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ ბარათებზე დაფიქსირებით ისინი შეიძლება თან ახლდეს ელექტრონული დოკუმენტე-

ბის შექმნას, შენახვას და გადაცემას. იდენტიფიკაციის უახლეს საშუალებას წარმოადგენს ელექტრონული საწერი გრიფელის საშუალებით შესრულებული ე.წ. ელექტრონული "დინამიური" ხელმოწერა. ასეთი გრიფელით წერისას კომპიუტერს გადაეცემა მონაცემები წერის ტექნიკის მახასიათებლებითურთ (დაწოლის ძალა, წერის სიჩქარე, შესვენებები წერის დროს და სხვ.). ეს მონაცემები შესაბამისი წესით შეიძლება იქნეს შემოწმებული, რის შედეგადაც ჩნდება ავტორის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა. სულ ახლახან ისრაელში მეცნიერებმა პერსონალური კომპიუტერის მფლობელის საიდენტიფიკაციოდ შეიმუშავეს ახალი მეთოდი, რომელიც კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის მომენტში, თითოეული ადამიანის მიერ გამოვლენილი თავისებურებების ანალიზს ემყარება. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა ბეჭდვის დროს პერსონალური კომპიუტერის მესაკუთრის "პორტრეტს" ქმნის. შემდგომში კი პროგრამული უზრუნველყოფა მას მხსიერებაში არსებულ მონაცემებს შეადარებს, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ოპერატორის იდენტიფიკაცია. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ახალი მეთოდი უმტყუნო შედეგს გამოიღებს..

ჩვენს მიერ დასახელებული კანონები ეცხ-ის შესახებ უტყუარი ელექტრონული იდენტიფიკაციის ჩამოთვლილ მეთოდებს არ ითვალისწინებს, რაც შეეხება კრიპტოგრაფიულ ალგორითმებს, თუ საკითხს მკაცრად მივუდგებით, ისინი იძლევიან ელექტრონული დოკუმენტის ემიტენტის არა იდენტიფიკაციის, არამედ მხოლოდ ვერიფიკაციის საშუალებას, რაც ტრადიციული ხელმოწერის ერთგვარ უპირატესობაზე მეტყველებს ეცხ-სთან შედარებით. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ-ის E-SIGN Act, რომლის ძირითადი განსხვავება სხვა ქვეყნების ანალოგიური კანონებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ ახდენს რომელიმე კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენების პრინციპიალურ რეგლამენტირებას. ამ თვალსაზრისით E-SIGN Act ერთგვარად უნივერსალურია და ეს კანონის სახელწოდებაშიც აისახება - მას ეწოდება კანონი ელექტრონული ხელმოწერების და არა ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების შესახებ. ელექტრონული დოკუმენტების ავტორის იდენტიფიკაციისათვის აშშ-ში შეიძლება გამოყენებული იყოს არა მარტო კრიპტოგრაფიული, არამედ იდენტიფიკაციის სხვა ალტერნატიული ტექნოლოგიებიც (ტერმინი "ელექტრონული" ამ კანონის მიხედვით ნიშნავს ელექტრულ, ციფრულ, მაგნიტურ, ოპტიკურ, ელექტრომაგნიტურ და სხვა ტექნოლოგიებს) ადამიანის ხმის, თითის ანაბეჭდის ან თვალის ფერადი გარსის საფუძველზე, რაც თავის მხრივ სამართლებრივი ინფორმატიკისა და სამართლებრივი კიბერნეტიკის დარგების განვითარებას უკავშირდება. გერმანიაში დოკუმენტების ციფრული ხელმოწერა ხორციელდება ინდივიდუალური პლასტიკური ბარათების (მიკროპროცესორული ჩიპების) საშუალებით. იქ ვარაუდობენ, რომ 2005 წლისთვის ინტერნეტში ჩართული ქვეყნის ყველა კომპიუტერი პლასტიკური ბარათების წამკითხველით იქნება აღჭურვილი.

იდენტიფიკაციის ალტერნატიული ელექტრონული საშუალებების დანერგვა კი უდავოდ დააყენებს დღის წესრიგში უკვე მიღებული კანონების გადასინჯვის აუცილებლობას.

ჩვეულებრივი ხელმოწერისა და ეცხ-ის საერთო ნიშნები, ჩვენი აზრით, არის ის, რომ ორივე დოკუმენტის უმნიშვნელოვანესი რეკვიზიტია, ანუ ის, რომელიც დოკუმენტის დოკუმენტად მიჩნევისათვის არის აუცილებელი და რომლის გარეშეც მას იურიდიული ძალა არა აქვს. ორივე მათგანი ადასტურებს დოკუმენტის ორიგინალობას ანუ მას, რომ იგი არ შეცვლილა შექმნის შემდეგ, ამასთან იძლევა დოკუმენტზე ხელმოწერის იდენტიფიკაციის საშუალებას, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ჩვეულებრივი ხელმოწერა პიროვნების ინდივიდუალურ ნიშნის შესახებ ინფორმაციის მატარებელია და მისი საშუალებით ხდება ავტორის უტყუარი იდენტიფიკაცია, ხოლო მისი გაყალბების

ფაქტს ადგენს ექსპერტიზა, ეცხ-ით დამოწმებული ელდოკუმენტი კი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ეცხ შესრულებულია მართებული, კანონიერი პირადი გასაღებით, ე.ი. იგულისხმება, რომ ელდოკუმენტის დამოწმება მოხდა ელხელმოწერის მოქმედი სერთიფიკატის საფუძველზე. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეცხ გაკეთდა მხოლოდ ამ მოწმობის კანონიერი მფლობელის მიერ. კანონიერი პირადი გასაღები ანუ ის უნიკალური კოდი, რომელიც გამოყენებული იქნა ელექტრონული ინფორმაციის დაშიფვრისათვის, რაღაც შემთხვევების წყალობით შეიძლება ცნობილი გახდეს სხვა პირისთვისაც, რომელიც მას გამოიყენებს. აქედან გამომდინარე, ეცხ წარმოადგენს მხოლოდ კანონიერი პირადი გასაღების გამოყენების ვერიფიცირების ანუ შემოწმების და არა დოკუმენტის ავტორის იდენტიფიკაციის საშუალებას. ეს გარემოება, ვფიქრობთ მეტად ყურადსაღებია და ჩვეულებრივი ხელმოწერის ეცხ-ისაგან განმასხვავებელ მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს.

პირი უფლებამოსილია ისარგებლოს რამდენიმე ეცხ-ით, როგორც კერძო პირმა, როგორც ამა თუ იმ თანამდებობის პირმა, როგორც კონკრეტული იურიდიული პირის ხელმძღვანელმა თუ წარმომადგენელმა, რაც, რა თქმა უნდა, ეცხ-ის გამოყენების ჩვეულებრივი ხელმოწერის გამოყენებისაგან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. ჩვეულებრივი ხელმოწერისას პირი სარგებლობს მხოლოდ ერთი ფაქსიმილეთი, მიუხედავად იმ სტატუსისა, რომლითაც ის მოცემულ მომენტში ამოწმებს დოკუმენტს.

საქართველოს საბაზო კანონპროექტი "ელექტრონულ-ციფრული დოკუმენტის, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის, ელექტრონულ-ციფრული გარიგებისა და ელექტრონულ-ციფრული კომერციის შესახებ" შედგება 8 თავისა და 44 მუხლისაგან. კანონის მიზანია ელექტრონულ-ციფრული დოკუმენტებისა და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების გამოყენების, აგრეთვე ელექტრონულ-ციფრული გარიგებებისა და ელექტრონულ-ციფრულ კომერციას მიკუთვნებული სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. იგი განსაზღვრავს ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერისა და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ცნებებს, მათი გამოყენების წესებს, აგრეთვე ელექტრონულ-ციფრული გარიგებისა და ელექტრონულ-ციფრული კომერციის ცნებებსა და მათი განხორციელების წესებს.

სტატიის მიზნიდან გამომდინარე, განვიხილოთ კანონის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც მხოლოდ ეცხ-ს შეეხებიან.

კანონი დეტალურად განსაზღვრავს ეცხ-ის დანიშნულებასა და გამოყენების წესებს, სხვის მაგივრად ეცხ-ით სარგებლობის დაუშვებლობას, ელდოკუმენტებისა და ეცხ-ების სანდოობისა და კომპრომეტირების საკითხებს, აგრეთვე ეცხ-ით სარგებლობის უფლების მიღების, ამ უფლების შეჩერებისა და გაუქმების პროცედურას და შესაბამისი მომსახურების რეგისტრაციის პროცედურას. ეცხ-ს დანიშნულებას კანონი შემდეგნაირად განმარტავს (მუხლი 13):

"1: ელხელმოწერით მოსარგებლე პირი იყენებს ელხელმოწერას ელდოკუმენტის დასამოწმებლად:

- ა) ელხელმოწერით მოსარგებლე პირის ავტორობის დაფიქსირების მიზნით;
- ბ) ელდოკუმენტის შინაარსის დადასტურების მიზნით;
- გ) ელდოკუმენტისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით;
- დ) სხვა კანონიერი მიზნებისათვის.

2. ელხელმოწერით დამოწმებული ელდოკუმენტის დადებითი ვერიფიცირება ითვლება ელდოკუმენტისა და ელხელმოწერის დამდვილობის დადასტურებად.

3. თუ ადგილი აქვს ელხელმოწერით დამოწმებული ელდოკუმენტის უარყოფით ვერიფიცირებას, ითვლება, რომ ელდოკუმენტი და/ან ელხელმოწერა ყალბია.

4. ელხელმოწერა წარმოადგენს იმ ელდოკუმენტის რეკვიზიტს, რომელიც დამოწმებულია ამ ელხელმოწერით.”

კანონის ძალით ერთი და იგივე სამართლებრივი სტატუსი ენიჭებათ

- დოკუმენტსა და ელდოკუმენტს;

- ბეჭდით დამოწმებულ ან დაუმოწმებელ ხელმოწერასა და ელხელმოწერას (მუხლი 5)

კანონი უპირატესობას ანიჭებს დოკუმენტს, თუ არსებობს როგორც დოკუმენტი, ასევე ელდოკუმენტი და მათ შორი ადგილი აქვს კოლიზიას.

კანონის ძალით ელდოკუმენტისა და ეცხ-ის გამოყენება მტკიცებულების სახით კანონიერია.

კანონი ადგენს წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულებაც უზრუნველავს ეცხ-ის კანონიერებას.

კანონპროექტი 4-ჯერ დაეგზავნა სახელმწიფო სტრუქტურებს შესათანხმებლად და ამჟამად მზადაა მისი საბოლოო, საფუძვლიანად გადამუშავებული მე-5 ვარიანტი გამარტივებული ტერმინოლოგიით, რომელთა აღქმა არ მოითხოვს ტექნიკურ განათლებას. ეს გარემოება და ის მთავარი ფაქტორი, რომ კანონპროექტის დებულებები შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან, უდავოდ მეტყველებს მის ღირსებაზე, აუცილებლად მიგვაჩნია უახლოეს ხანში მისი მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსების მიზნით.

თუ თვალს გადავაავლებთ საქართველოს სამოქალაქო საკანონმდებლობას, ვნახავთ, რომ მისი უმთავრესი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია ხელმოწერის მნიშვნელობა და როლი სამოქალაქო ბრუნვაში. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 69, 328, 702, 789, 802, 865, 911, 922, 923, 935, 1357, 1361, 1365, 1366; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 73, 167, 247, 250, 257, 289, 291, 303, 396; საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის კანონი #121-11ს ”კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”; საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 20 დეკემბრის ბრძანება #52 - დებულება ”საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში სალარო მეურნეობის გაძღოლის შესახებ” და სხვ.). მათგან უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ხელმოწერის როლი გარიგების ფორმასთან მიმართებაში. ”გარიგების მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა”

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 69), ამავე კოდექსის 328-ე მუხლის _”ხელშეკრულების ფორმა” თანახმად ”თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა”. ვფიქრობთ, აუცილებელია აღნიშნული მუხლის რედაქტირება, სახელდობრ, მას უნდა დაემატოს დოკუმენტების ურთიერთგაცვლა ყველაზე თანამედროვე და გავრცელებული საშუალებით - გლობალური სატელეკომუნიკაციო ქსელის - ინტერნეტის, კერძოდ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და ნორმა გაცვლილი ელექტრონული დოკუმენტების აუცილებელი რეკვიზიტის - ეცხ-ის შესახებ.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობას, აქ ელექტრონული ხელმოწერის ინსტიტუტი საინტერესოა ელექტრონული სახით არსებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში. დოკუმენტის იდენტიფიცირებისა და მისი ნამდვილობის დადგენის საკითხები განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს მათი მტკიცებულებითი ძალის შეფასე-

ბასთან დაკავშირებით. ამ საკითხების გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებულია ელექტრონული დოკუმენტის უტყუარობის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული დანაშაულების შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის პროცესუალური დებულებებით სპეციფიკური სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიებისა და სასამართლო საქმის წარმოებისათვის გათვალისწინებულია მტკიცებულებათა ელექტრონული (ციფრული ან სხვა) ფორმით მიღება და შეგროვება. ვინაიდან ამ კონვენციის მთავარი მიზანია საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის და სამართლებრივი სტანდარტების შემუშავება, რომელიც დაიცავს მსოფლიო საზოგადოებას კომპიუტერული დანაშაულებისაგან შიდა საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, ჩვენი აზრით, აუცილებელია ამის ხაზგასმა საქართველის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და შესაბამისი ნორმის დამატება ელექტრონული მტკიცებულებებისა და მათთვის იურიდიული ძალის შემძენი რეკვიზიტის - ეცხ-ის შესახებ. კერძოდ, ვგულისხმობთ საქართველის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლს "მტკიცებულების ცნება". მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მუხლის მე-2 პუნქტის ი) ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ი) სხვა დოკუმენტები, მათ შორის ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტები."

კანონები ეცხ-ის შესახებ მესამე ათასწლეულის კანონებია. მათი მიღება და ძალაში შესვლა სხვა საინფორმაციო საკანონმდებლო ღონისძიებებთან ერთად დააჩქარებს დოკუმენტბრუნვას სახელმწიფოთა შორის, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ხელს შეუწყობს მაღალი ტექნოლოგიების განვითარებას, ინფორმაციის გაცვლას და შეამცირებს მისი შეგროვებისა და დამუშავების პროცესს, რაც, საბოლოო ჯამში ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საფუძვლებს შექმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 მ. ცაცანაშვილი. ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი. გამოცემლობა "ტექინფორმი". 1999.
- 2 გ.ინჭკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1997.
- 3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გამომცემლობა "სამართალი". თბილისი.1997.
- 4 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა "ლ.დ" თბილისი. 2000.
- 5 И.Л. Бачило, В. Н. Лопатин, М.А. Федотов. Информационное право. Учебник. Санкт-Петербург. Юридический центр Пресс.2001
- 6 Б.Д.Завидов. Электронная цифровая подпись. Правовое значение. Анализ законодательства и законопроектов. Москва.Экзамен.2001.
- 7 Вершинин А.П. Электронный документ: правовая форма и доказательство в суде. Учебно-практическое пособие. Москва.2000.
- 8 Правовые аспекты использования Интернет-технологий. Авторский коллектив. Под редакцией А.С. Кемрадж и Д.В. Головерова. Москва. Издательство «Книжный мир».2002г.
- 9 Юридическая энциклопедия. Изд. г-на Тихомирова Ю.А. Юстицинформ. Москва. 1997г.
- 10 Гражданский кодекс Российской Федерации. Издательская группа ИНФРА.М-НОРМА. Москва.1996.
- 11 Schneier B. Applied Cryptography. Tohn Wiley and Sons. Inc. New Yourk. 1996.

მიღებულია: 19.11.2003